სოფელი თვრინი იმერეთის რეგიონში, ზესტაფონიდან 5 კმ-ის მოშორებით მდებარეობს.იგი წყაროებში პირველად მე-16 საუკუნეშია მოხსენიებული.ჩემი ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია იქ შემორჩენილმა ფეოდალური ხანის ციხე-დარბაზმა,გალავნითა და საცხოვრებელი ნაგებობებით.

ამ ადგილას განთავსებული იყო ციხე,რომელიც საქარავნო გზას იცავდა.ციხე აგებულია VIII-IX საუკუნეებში.მასთან ერთად შემორჩენილია გალავნის ნანგრევები და გზის ხეივანი,როგორც უტყვი მოწმე ამ ადგილის ხანდაზმულობისა.

ქვის კიბეებით მის სილრმეში ჩადიხარ და ქვემოთ იდუმალი სამყარო გხვდება.ვინ იცის,რამდენჯერ გაუსწორდნენ მეციხოვნენი მომხდურთ.

როგორც ჩესი,ციხე წყლით უნდა ყოფილიყო მომარაგებული.ეს პირობაც შეუსრულებიათ..აქ კარგადაა დაცული წყარო,რომლის წყალი გარეთ კიდევ ორ ადგილზე გადმოედინება და მას სასმელად მთელი სოფელი იყენებს.

ჩვენს წინაპრებს აქ საზარბაზნე მოუწყვიათ...
კედელზე ყურადღებას იპყრობს სათოფურები...

120 წელზე მეტია სოლომონ მეფის თასი აქ,ჭანკოტაძეების ოჯახში ინახება.იგი ერთ-ერთი ვერსიის თანახმად,ებრაელი ვაჭრისგან უყიდიათ,რასაც თან ახლავს ნასყიდობის ფურცელი. მეორე,საინტერესო ვერსიაც არსებობს,თითქოს სოლომონ მეფეს გზად გაუვლია,მისთვის ღვინოშეუთავაზებიათ,მეფეს ღვინო შეუსვამს,მერე კი თასი ღვინით სავსე ქვევრში ჩაუგდია და განუცხადებია:ვინც ამოიღებს მისი იყოსო.

წინაპრების ძველი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით,1905 წელს აქ,სახლის სარდაფში,წრიული ფორმის მარანი აუგიათ. მისი სიგრძე 16,ხოლო სიგანე 8 მეტრია.

თვრინის ციხე დღემდე მეცნიერულად შეუსწავლელია.ციხისა და მის შემოგარენში ნაპოვნი ისტორიული ნივთები ინახება ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში,თუჯის ერთი ჭურვი კი საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ზესტაფონის სკოლა ,,ანაბასისის'' XII კლასის მოსწავლე ელენე როინიშვილი